ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 62

2019 წლის 26 ივლისი

ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N 2 დადგენილების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის არ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" დანართის პირველი მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში - 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი დანართი N 1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნადიმ ვარშანიძე